

ვებგვერდი, 18/03/2013  
სარეგისტრაციო კოდი  
040030000.22.055.016021

**საქართველოს სპორტისა და  
ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის  
ბრძანება №01/161  
2013 წლის 14 მარტი ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს  
ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის  
დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და  
ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 17 აგვისტოს №33  
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2010 წლის 17 აგვისტოს №33 ბრძანებით დამტკიცებული დებულების (სსმ III, 20.08.2010 წ., №101, მუხლი 1519 ) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი:

„ა<sup>1</sup>) ამ დებულების მე-3 მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების გარდა, ცენტრის სარგებლობაში არსებულ სპორტულ დარბაზებში გახსნას უფასო სექციები სპორტის სხვადასხვა სახეობებში“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სპორტისა და ახალგაზრდობის  
საქმეთა მინისტრი

*ლევან ყიფიანი*